საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA

№ 299936 07 02 2017 წ.

GRASS
ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
წერილის რეგისტრაციის № 9
თარიღი 9 02 2017

ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაციის"
ფაქტ-მეტრის მთავარ რედაქტორს
ბატონ დიმიტრი ავალიანს
მის: ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქ. N27

ბატონო დიმიტრი,

თქვენი N8 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ შსს ეკონომიკური დეპარტამენტის ინფორმაციით, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 07 ოქტომბრის N2175 განკარგულების თანახმად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალა "საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით მისთვის გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უზრუნველყოს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ გაფორმებული/გასაფორმებელი ზოგიერთი ხელშეკრულების დაფინანსება 3 000 000 ლარის ფარგლებში. ამავე სამსახურის მოთხოვნის შესაბამისად.

აღნიშნული განკარგულებისა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოთხოვნის შესაბამისად, 2016 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გადახდილია 2 986 531.00 ლარი.

დანართის სახით წარმოგიდგენთ ინფორმაციას გადახდილი თანხების შესახებ.

დანართი: 1 (ერთი) ფურცელი.

პატივისცემით,

შსს ადმინისტრაციის
საჯარო ინფორმაციის სამმართველოს უფროსი გიორგი სახოკია

შინაარსი	განკარგულების თანხა	შსს-ს მიერ გადარიცხული თანხა (ჯამურად)		
საწვავი	2,400,000.00	2,400,000.00		
საბურავები	506,700.00	493,231.00		
ქაღალდი	93,300.00	93,300.00		
	3,000,000.00	**2,986,531.00**	-	